ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5230248

ნომერი: AR1793963

თარიღი : 11.12.2020

გაცემის თარიღი : 18.12.2020

გაცნობის თარიღი : 21.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარკ ბრონშტეინის I ჩიხი N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი II , გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზვიადი ჩაქსელიანი პ/ნ 27001001019
- ლენტეხი ს. ხელედი

ორგანიზაცია:
- შპს "333" კოდი: 406035936

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 დეკემბრის №3744897, 2018 წლის 11 ოქტომბრის №4204746, 2019 წლის 24 იანვრის №4348527 და 2019 წლის 04 მარტის №4395827 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 11 დეკემბერს №AR1793963 განცხადებით მომართა ზვიადი ჩაქსელიანმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 26 დეკემბრის №3744897, 2018 წლის 11 ოქტომბრის №4204746, 2019 წლის 24 იანვრის №4348527 და 2019 წლის 04 მარტის №4395827 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 26 დეკემბრის №3744897 ბრძანებით №01.11.13.002.407 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (1258 კვ.მ.), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4204746 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, მათ შორის, საკადასტრო კოდად დაფიქსირდა №01.11.13.002.413 (ფართობი: 1684.00 კვ.მ.).

სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4348527 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, დასახლება მუხიანი, II მიკრო/რაიონი, გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.413), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 04 მარტის №4395827 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 04 მარტიდან 2021 წლის 04 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, აღარ არსებობს სამსახურის 2017 წლის 26 დეკემბრის №3744897, 2018 წლის 11 ოქტომბრის №4204746, 2019 წლის 24 იანვრის №4348527 და 2019 წლის 04 მარტის №4395827 ბრძანებების შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და ითხოვს მათ ძალადაკარგულად გამოცხადებას. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ სამსახურის 2019 წლის 04 მარტის №4395827 ბრძანების საფუძველზე საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ არის.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882019132200, მომზადების თარიღი: 25/02/2019 18:12:12) თანახმად, №01.11.13.002.425, №01.11.13.002.212 და №01.11.13.002.413 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოიშვა №01.11.13.002.427 საკადასტრო ერთეული (ფართობი: 3034.00 კვ.მ). ამავე ამონაწერის თანახმად, №01.11.13.002.427 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს “333” (ს/ნ: 406035936). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის შესაბამისად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B20036825, მომზადების თარიღი: 27/05/2020 12:57:11), შპს “333”-ის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ზვიადი ჩანქსელიანი. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ზვიადი ჩაქსელიანის 2020 წლის 11 დეკემბრის №AR1793963 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2017 წლის 26 დეკემბრის №3744897, 2018 წლის 11 ოქტომბრის №4204746, 2019 წლის 24 იანვრის №4348527 და 2019 წლის 04 მარტის №4395827 ბრძანებები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge